ხელშეკრულება# IN/12

ქ.ქუთაისი 35ათასი ფიცლოარი 909000000 01 აპრილი 2017 წელი

ერთის მხრივ, შპს „ლჯ და კო – ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრი" (შემდგომში ,,ცენტრი") ს/კ 421271634; წარმოდგენილი აღმასრულებელი დირექტორის, კონსტანტინე გვეტაძის სახით, და

მეორეს მხრივ, შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი „ბიჭვინთა" (შემდგომში „სამედიცინო დაწესებულება"), ს/კ 212749329 წარმოდგენილი დირექტორის ნინო ქასრაშვილის სახით მოქმედი საქართველოს კანონმდებლობისა და ურთიერთთანამშრომლობის პრინციპების საფუძველზე, ,,საქართველოს სამოქალაქო კოდექსის" მოთხოვნების გათვალისწინებით ვთანხმდებით ხელშეკრულების შემდეგ პირობებზე:

1. ხელშეკრულების საფუძველი

1.1 საქართველოს კანონი „ნარჩენების მართვის კოდექსი";
1.2 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N64 დადგენილება, „ტექნიკური რეგლამენტი";
1.3 საქართველოს მთავრობის 2014 წლის 3 იანვრის N32 დადგენილება-ავტოსატრანსპორტო საშუალებებით ტვირთის გადაზიდვის წესი -„ტექნიკური რეგლამენტი".
1.4 „გარემოზე ზემოქმედების ნებართვის შესახებ" საქართველოს კანონის საუძველზე, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს მიერ გაცემული დასკვნა, ბრძანება #ი-330 (04.06.2016)
1.5 საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ"

2. ხელშეკრულების საგანი

2.1 საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი"- ს შესაბამისად გარემოსა და მოსახლეობის ჯანმრთელობაზე უარყოფითი გავლენის პრევენციისა და ზიანის შემცირების მიზნით მომსახურების განხორციელება, (შემდგომში ,,მომსახურება") კერძოდ: „სამედიცინო დაწესებულების" მიერ წარმოქმნილი („ბ" და „გ") სამედიცინო ნარჩენების გატანა, ტრანსპორტირება, ნარჩენების გაუვნებლობა ინსინერაციის გზით (თერმული დამუშავება) „ცენტრის" მიერ მისამართზე: ქ. ქუთაისი, პ. ჩხობაძის N20

3. მხარეთა ვალდებულებანი

3.1 ,,სამედიცინო დაწესებულება" ვალდებულია:

3.1.1. საქმიანობის განხორციელებისას იმოქმედოს და დაიცვას საქართველოს მთავრობის დადგენილება N145 (2016 წლის 29 მარტი) „ტექნიკური რეგლამენტი" სახიფათო ნარჩენების შეგროვებისა და დამუშავების სპეციალური მოთხოვნები, საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 იანვრის N64 დადგენილება „სამკურნალო-პროფილაქტიკური დაწესებულების ნარჩენების შეგროვების, შენახვისა და გაუვნებლების სანიტარიული წესებისა და ნორმების" შესახებ.

3.1.2 მოათავსოს „ბ" და „გ" კლასის სამედიცინო ნარჩენები სათანადოთ მარკირებულ ტარაში, (კონტეინერში).

3.1.3. არ დაუშვას კონტეინერს გარეთ მისი დაყრა და მიმდებარე ტერიტორიის დანაგვიანება;

3.1.4. მოითხოვოს ,,ცენტრისგან" „ბ" და „გ" კლასის სამედიცინო ნარჩენების კონტეინერები (5 ლტ, 50 ლტ, 100 ლტ, 240 ლტ ტევადობის), რომლებსაც მიიღებს დროებით სარგებლობაში, ხელშეკრულების მოქმედების პერიოდზე შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტებით.

3.1.5. უზრუნველყოს დროებით სარგებლობაში გადაცემული კონტეინერების მიზნობრივი გამოყენება, არ დაუშვას დაზიანება ან სხვა პირზე გადაცემა.

3.1.6. დაზიანების/დაკარგვის შემთხვევაში აანაზღაუროს კონტეინერის ღირებულება: 50 ლტ - 40.5 ლარი; 100 ლტ - 74.88 ლარი; 240 ლტ -119,33 ლარის შესაბამისად;

3.1.7. უზრუნველყოს „სამედიცინო ნარჩენები"-ს თანმხლები ფორმების შევსება; დანართი N1; 2

3.1.8 გადაუხადოს „ცენტრს" ხელშეკრულებით გაწეული მომსახურების ღირებულება, დადგენილ ვადებში.

3.2. „ცენტრი" ვალდებულია:

3.2.1. უზრუნველყოს შეთანხმებული გრაფიკის შესაბამისად სამედიცინო დაწესებულებებიდან" („ბ" და "გ") სამედიცინო ნარჩენების გატანა დახურული ძარის მქონე ავტოტრანსპორტით;

3.2.2. სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირებისას თან იქონიოს სახიფათო ნარჩენების საინფორმაციო ფურცელი და სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმა, მიღება-ჩაბარების აქტი (დანართი #1;2;3)

3.2.4. განახორციელოს („ბ" და "გ") სამედიცინო ნარჩენების გაუვნებლობა მათი თერმული დამუშავების გზით (ინსინერაცია).

3.2.5. მოთხოვნის შესაბამისად გადასცეს „სამედიცინო დაწესებულებას" სამედიცინო ნარჩენების განთავსებისათვის საჭირო რაოდენობის კონტეინერი დროებით სარგებლობაში, მიღება-ჩაბარების საფუძველზე;

3.2.6. შეასრულოს მომსახურება დადგენილ ვადებში და სათანადო ხარისხით.

4. ხელშეკრულების ღირებულება და ანგარიშსწორების წესი.

4.1. წინამდებარე ხელშეკრულება ითვალისწინებს 8.8 კილოგრამი სამედიცინო ნარჩენის გატანა/ინსინერაციის ღირებულებას, რაც შეადგენს თვეში 30 (ოცდაათი) ლარს.

4.2. ანგარიშსწორება განხორციელდება გადარიცხვის გზით „ცენტრის" მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

4.3. „ცენტრი" ყოველი თვის 5 რიცხვამდე წარუდგენს „სამედიცინო დაწესებულებას" გასული თვის განმავლობაში გაწეული მომსახურების დამადასტურებელ დოკუმენტაციას (მიღება-ჩაბარებს აქტი, ანგარიშფაქტურა).

4.4. „სამედიცინო დაწესებულება" ვალდებულია მიმდინარე თვის 15 რიცხვამდე უზრუნველყოს გაწეული მომსახურების ანაზღაურება.

4.5. თუ „სამედიცინო დაწესებულება" გადააცილებს გაწეული მომსახურების ანაზღაურების ვადას, იგი ვალდებულია გადაიხადოს პირგასამტეხლო, გაწეული მომსახურების ღირებულების 0,5%-ის ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, დავალიანების სრულ დაფარვამდე.

4.6. ცვლილებები მომსახურეობის ტარიფებში წერილობითი სახით ეცნობება „სამედიცინო დაწესებულებას" ცვლილებამდე ორი კვირით ადრე.

4.7. არსებული ფინანსური ურთიერთ ვალდებულებების დასადგენად ექვს თვეში ერთხელ მხარეებს შორის დგება ურთიერთშედარების აქტი. აღნიშნულის გარდა, მხარეებს შეუძლიათ ხელშეკრულების მოქმედების ნებისმიერ ეტაპზე მოითხოვონ ურთიერთშედარების აქტის გაფორმება, რომლის გაფორმება სავალდებულოა ორივე მხარისათვის.

5. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და მისი შეწყვეტის საფუძვლები

5.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერის მომენტიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

5.2. ხელშეკრულების შეწყვეტის საფუძვლებია:

5.2.1.ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლა;

5.2.2. ხელშეკრულების პირობების უხეში დარღვევა, რომელიმე მხარის მხრიდან; ხელშეკრულების შეწყვეტა არ ათავისუფლებს „სამედიცინო დაწესებულებას" დავალიანების გადახდის ვალდებულებისაგან.

5.2.3. მხარეთა წერილობითი შეთანხმება;

5.2.4 ხელშეკრულების ვადამდე (გამონაკლისია 5.2.2. პუნქტი) შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე ერთი მხარე წერილობით ატყობინებს მეორეს შეწყვეტის სავარაუდო თარიღამდე არანაკლებ ერთი თვით ადრე.

6. ფორს-მაჟორი

6.1 მხარეები მთლიანად ან ნაწილობრივ თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შესრულებისგან, თუ ასეთი შეუსრულებლობა გამოწვეულია დაუძლეველი ძალის, ე.წ. ,,ფორს-მაჟორული'' გარემოებების მოქმედებით, კერძოდ საომარი—სამხედრო მოქმედებებით, გაფიცვით,სტიქიური უბედურებით(წყალდიდობა, მიწისძვრა, ხანძარი), ბლოკადით, კანონიერ ძალაში შესული სახელმწიფო ორგანოების ადმინისტრაციული აქტებით ან ქმედებებით და სხვა.

6.2. მხარეებმა დაუყოვნებლივ უნდა გააფრთხილონ ერთმანეთი ,,ფორს-მაჟორული'' გარემოებების დადგომისა და ხელშეკრულებით გათვალიაწინებული ვალდებულებების მთლიანად ან ნაწილობრივ შესრულების შეუძლებლობის შესახებ;

6.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

7. დავების გადაწყვეტა

7.1. მხარეთა მიერ წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობასთან დაკავშირებული დავა ან უთანხმოება უნდა გადაწყდეს უპირატესად ურთიერთმოლაპარაკების გზით;

7.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, ნებისმიერი მხარე უფლებამოსილია მიმართოს სასამართლოს.

8. დასკვნითი დებულებები

8.1 მხარეთა შორის წარმოშობილი სამართლებრივი ურთიერთობები, მათ შორის პასუხისმგებლობა, რეგულირდება აღნიშნული ხელშეკრულებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობითა.

8.2. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების და /ან დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელსაც ექნება იგივე იურიდიული ძალა, რაც ამ ხელშეკრულებას.

8.3. დანართი #1,2, 3 წარმოადგენენ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

8.4. ხელშეკრულება შედგენილია ორ ეგზემპლიარად. ორივეს თანაბარი იურიდიული ძალა აქვს და ინახება მხარეებთან.

9. მხარეთა რეკვიზიტები:

„ცენტრი“	„სამედიცინო დაწესებულება“
შპს „ლჯ და კო - ტუბერკულოზისა და ინფექციურ პათოლოგიათა ცენტრი“	შპს „დევნილთა საოჯახო მედიცინის ცენტრი „ბიჭვინთა“
ს/კ 421271634	ს/კ 212749329
მისამართი: წყალტუბო, გუმბრა	მისამართი: ქ.ქუთაისი, ჩხობაძის #16
საბანკო რეკვიზიტები:	საბანკო რეკვიზიტები: ვითიბი ბანკი
TBCBGE22	ბანკის კოდი: UGEBGE22
GE55TB7010336020100015	ა/ა GE67 VT0500000024403602
აღმასრულებელი დირექტორი	ტელ: 599 767203; 0431 212004
----------	დირექტორის :
ბ.ა.	----------
	ბ.ა.